პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

21 დეკემბერი, 2020წ. ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ლაშა სირაბიძისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - ლაშა სირაბიძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წევრად უფლებამოსილების ცნობის გამო 2020 წლის 16 დეკემბრიდან ვადამდე შეუწყდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ლაშა სირაბიძისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ"
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 15 დეკემბერს მიღებული იქნა დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ", აღნიშნული დადგენილებით ცნობილ იქნა ლაშა სირაბიძის უმაღლეს საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 42-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება თუ მან დაიკავა საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის განკარგულების მიღება - **ლაშა სირაბიძისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.**

ბ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

დ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ე) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ სულიკო თებიძეს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის
ლაშა სირაბიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის N3-Iს დადგენილებით ცნობილ იქნა ჩემი, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

გთხოვთ განახორციელოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დანართი: 2 ფურცელი.

განმცხ:

15.12.2020 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს 2020 წლის 31 ოქტომბერს არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება თანდართული სიის შესაბამისად.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს
პირველი სხდომის თავმჯდომარე — დავით თედორაძე

ბათუმი,
2020 წლის 15 დეკემბერი
№3-1ს

2020 წლის 31 ოქტომბერს არჩეულ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა სია

1. აბულაძე გია
2. ანანიძე ცოტნე
3. ანთაძე ლევან
4. არუშიძე ტიტე
5. ბაგრატიონი ელგუჯა
6. ბაციკაძე დავით
7. გაბაიძე დავით
8. გვიანიძე მარინე
9. ვარშანიძე ნადიმ
10. ვასაძე მედეა
11. ვერძაძე ილია
12. თედორაძე დავით
13. კირთაძე გიორგი
14. მანველიძე გიორგი
15. მგალობლიშვილი ვლადიმერ
16. სირაბიძე ლაშა
17. სურმანიძე მამული
18. ფუტკარაძე ფრიდონ
19. ჩავლეიშვილი ირაკლი
20. ხალვაში ფატი
21. ჭეიშვილი ირაკლი